ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 03.01/30/490

ქ. თბილისი 25.09.2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის მოადგილის გიგა ნიკოლეიშვილის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „თეიმურაზ თოდაძე" (შემდგომში-მიმწოდებელი), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული სკვერისთვის (ხეივნის) დეკორატიული ღობეების მოწყობის სამუშაოები, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.2შესყიდვის საშუალება – *ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.*
2.3ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე განცხადების ნომერი **№NAT170009184;**
2.4ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 55104,82 (ორმოცდათხუთმეტი ათას ასოთხი ლარი და 82 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.5კლასიფიკატორის კოდი - **45342000** - <u>ღობეების მონტაჟი.</u>
2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია 2019 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.

3.სამუშაოს შესრულების ვადები და პირობები

3.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.
3.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში.
3.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული სკვერი (ხეივანი).
3.4 ესკიზები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.
4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოებზე (საქონელზე) რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2017 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0.05 %-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.
8.4 მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
ბ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.
11.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.
11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 მაისის №1-989 ბრძანების შესაბამისად - „სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის მეშვეობით განხორციელების შედეგად გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებში სამუშაოს ახალი პოზიციების ანაზღაურების შესახებ“, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.
12.3 სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირების შემთხვევაში, ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას აანაზღაურებს შემსყიდველი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფების ფარგლებში.
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის.

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599191408; საკონტ. პირი ბ-ნ თეიმურაზ თოდაძე, ელექტრონული ფოსტა: levan.todadze@yahoo.com;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 574570696; საკონტ. პირი ბ-ნი ნიკოლოზ ბურდული; ელექტრონული ფოსტა: egd@tbilisi.gov.ge;
14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	ი/მ "თეიმურაზ თოდაძე"
------------------------------	------------------------------
გრიგოლ ...	თეიმურაზ თოდაძე
მერიის მოადგილე	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	ი/მ „თეიმურაზ თოდაძე"
ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7	ქ. თბილისი, დოლიძის ქ. N41
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდ. კოდი: 204521794	საიდ. კოდი: 01026008293
ა/ა **GE24NB0330100200165022**	ა/ა: GE49BG0000000818638800

ვაჟა - ფშაველა გამზირზე არსებულ ხეიჟანში ღობის მოწყობა

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ღირებულება	
				ერთეული	ჯამი
1	დეკორატიული ღობე-ესკიზი №1-ის იდენტური (პარამეტრები მოცემულია ესკიზებზე). შეღებილი ორი პირი მაღალი ხარისხის ანტიკოროზიული. წყალმედეგი საღებავით (ფერი შეთანხმდება ზედამხედველთან). მასალისა და სამუშაოს გათვალისწინებით.	გრძ/მ	700	45.000	31500.00
2	დეკორატიული ღობის მონტაჟი (ბეტონით მინ. მ200) ესკიზის შესაბამისად. მასალისა და სამუშაოს გათვალისწინებით.	გრძ/მ	700	9.520	6664.00
	მთლიანი ხარჯები				38164.00
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%			1144.92
	სულ				39308.92
	ზედნადები ხარჯები	10.0%			3930.89
	ჯამი				43239.81
	გეგმიური დაგროვება	8.0%			3459.18
	ჯამი				46699.00
	დღგ 18%	18%			8405.82
	სულ				55104.82

შენიშვნა:

1.ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N1–ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

2.გაუთვალისიწნებელი ხარჯი (3%) არის უცვლელი.

ხელმოწერა

დეკორატიული ღობე



დეტალი "ა"
(საძირკველი)



შენიშვნები:

1. ზომები მოცემულია მმ-ში
2. საძირკვლის ორმოს ზომებია 300X300X350(H)

სამუშაოს მოცულობები ერთი საძირკვლისთვის

მიწის მოთხრა V_{∂}=0.3X0.3X0.35= 0.035 ∂^3

ბეტონი V_{δ} = 0.03 ∂^3

არმატურა ϕ12AIII L=0.1X2=0.2მ

G=0.2კგ

30/490

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 25.09.2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული სკვერისთვის (ხეივნის) დეკორატიული ღობეების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (განცხადების №**NAT170009184**), ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლები

ნიკოლოზ ბურდული -

დავით ხახნელიძე -